ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 06-61/1

ქ. თბილისი 23 ივნისი, 2015 წ.

შემსყიდველი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, წარმოდგენილი მინისტრის პირველი მოადგილის ქეთევან ნატრიაშვილის სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №52;
ტელ.: 2220 200
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22; ა/ა GE24NB0330100200165022;
საიდენტიფიკაციო კოდი 202051224;

მიმწოდებელი: შპს „ლაბ დისტრიბუცია" წარმოდგენილი მისი დირექტორის ჯაბა თვაურის სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, ზაზაშვილის I შეს. №7 (იურიდიული); ჩაჩავას ქ. №8 (ფაქტიური)
ტელ.: 229 06 09; 591 63 80 36
საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „ბაზის ბანკი", კოდი: CBASGE22; ა/ა GE04BS0000000022236953
საიდენტიფიკაციო კოდი 200253705

ერთი მხრივ - შემსყიდველი და მეორე მხრივ - მიმწოდებელი, 2.06.2015წ. №447179 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ს!" ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3 „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6 „საქონელი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

ხელშეკრულების საგანია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საჭიროებისათვის ელემენტების (CPV: 31400000) შესყიდვა.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 200 (ორასი) ლარს.
3.2 შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები და ერთეულის ფასები მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში:

№	საქონლის დასახელება	CPV კოდი	რაოდენობა (ცალი)	ერთეულის ფასი	ჯამური ღირებულება
1	ელემენტი Energizer Alkaline Power AA FS E91, LR6 , 4ც-შეკვრა	31440000	25	8	200
					200,00

3.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.
4.2 ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულების მიხედვით, კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე.
4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება შესაბამისი დოკუმენტაციის ხელმოწერიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში.
4.4 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

4.5 დაფინანსების წყარო: 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, („განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება“ (პროგრამული კოდი 320101).

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველია წინამდებარე ხელშეკრულების მე-9 პუნქტის 9.2 ქვეპუნქტით განსაზღვრული პირის მიერ კონტროლის განხორციელება.
5.3 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მხრიდან მოთხოვნილი რაოდენობის უნაკლო შესყიდვის ობიექტის მიწოდების დადასტურებისა და ანაზღაურების მიღების მიზნით შემსყიდველს წარუდგინოს შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია.
5.4 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი ან მისი არყოფნის შემთხვევაში შესაბამისად უფლებამოსილი პირი.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს **2015 წლის 26 ივნისისა.**
6.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, ჩაჩავას ქ. №8.

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია: შემსყიდველს მოაწოდოს ხელშეკრულებაში მითითებული საქონელი წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში. იგი პასუხისმგებელია მოწოდებული საქონლის ხარისხზე;
7.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.3 შემსყიდველი ვალდებულია:
7.3.1 უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.3.2 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.
7.4 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.

8. გარანტია

8.1 მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი. შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ ტიპის საქონელზე მოქმედ სახელმწიფო ან საერთაშორისო სტანდარტებს.
8.2 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გადაცემული საქონელი იქნება შესაბამისი ტექნიკურ მოთხოვნებთან და შესაფერისი იმ მიზნებისათვის, რომლისთვისაც ის არის გათვალისწინებული და იმუშავებს სრულიად გამართულად.
8.3 თუ საქონლის ექსპლუატაციაში შესვლის ვადაში გამომჟღავნდება ქარხნული დეფექტი, მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შეცვალოს საქონელი ახლით (იგივე ან უკეთესი მონაცემების მქონე ელემენტით) შეტყობინების მიღებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში, რაზეც დაეკისრება ვადაგადაცილების შემთხვევაში 10.1 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდა, ხოლო შეუსრულებლობის შემთხვევაში 10.2 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდა.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1 შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ შემდეგი პირობებით: მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის შემსყიდველისათვის მიწოდებისას კონტროლის განმახორციელებელი პირი ამოწმებს შესყიდვის ობიექტის შესაბამისობას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან, რასაც ადასტურებს შესაბამისი დასკვნით, ხოლო ამის შემდეგ მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.
9.2 ხელშეკრულების 9.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს განახორციელებს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი გია გუჯარაიძე.

9.3 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

10.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების ან/და შეუსრულებლობის შემთხვევაში „მიმწოდებელს" მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 5%--ის ოდენობით.

10.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას გადააჭარბებს 15 კალენდარული დღით, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და ასევე, გამოიყენოს ამ პუნქტის 10.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობები.

10.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.5 პირგასამტეხლოს გამოთვლისას არ გამოიანგარიშება კონტროლის განხორციელებისთვის გახარჯული დრო.

10.6 დაკისრებული პირგასამტეხლო გადახდილ უნდა იქნას მხარისათვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადისა.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

11.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

11.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ინტერესთა კონფლიქტი

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 ივლისის ჩათვლით, მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

15.2 მხარეები ვალდებულნი არიან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც შეასრულონ თავისი ვალდებულებები, თუ ეს ვალდებულებები წარმოიქმნა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

16. ზოგადი დებულებები

16.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებები გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

16.2 მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომლებიც არ იქნა დარეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

16.3 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე.

16.4ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი რჩება შემსყიდველს, ერთი – მიმწოდებელს.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, რასაც ადასტურებენ ხელმოწერით:

შემსყიდველის მხრიდან:	მიმწოდებლის მხრიდან:
მინისტრის პირველი მოადგილე	დირექტორი
ქეთევან ნატრიაშვილი	ჯაბა თვაური
---	---